



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**G E O R G I A**  
**CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY**



ოქმი: 97.9726190001

თარიღი: 09/07/2026

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**რიგგარეშე სხდომა**

**ოქმი N-13**

**დ.ლენტეხი. 6 ივლისი 2026წ.**

მიმდინარე წლის 6 ივლისს დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 18 (თვრამეტი) წევრი. საპატიო მიზნით არ ესწრებოდა 5 (ხუთი) წევრი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) უფროსის მ/შ ნაირა ლიპარტელიანი.

**სხდომის თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეული იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის 5 ივლისის N-96-962618417 მომართვის საფუძველზე. მან სხდომის წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

**1.,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 ნოემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

/მომსხ: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

**2.,,2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანჟირების, სამტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 25 დეკემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

/მომსხ: მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი/

**საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ** ირაკლი ქურასბედიანმა აღნიშნა, რომ წინა N11 სხდომაზე განხილული იქნა დაბა ლენტეხში კულტურის სახლის სარდაფში სავარჯიშო ოთახების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის მოწყობის საკითხი, მაგრამ დოკუმენტაცია არასრულყოფილი იყო წარმოდგენილი, ამის გამო პროექტი არ იქნა მოწონებული. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საჭიროა დღის წესრიგში დამატებით შეტანილი იქნას საკითხი - დაბა ლენტეხში კულტურის სახლის სარდაფში სავარჯიშო ოთახების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის მოწყობის თაობაზე“. დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა.

**ღია კენჭისყრის შედეგით:**

**მომხრე - 18;**

**წინააღმდეგი - 0.**

**დღის წესრიგი წარმოდგენილი იქნა შემდეგი სახით:**

**1. „ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 ნოემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

**2. „2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, სამტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 25 დეკემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

/მომხს: მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი სოზარ ბენდელიანი/

**3. დაბა ლენტეხში კულტურის სახლის სარდაფში საგარჯიშო ოთახების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის მოწყობის თაობაზე“.**

/მომხს: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი დემური ლიპარტელიანი/

**2. მოისმინეს:** იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - „ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 ნოემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და წარუდგინა ცვლილებები შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში.

მომხსენებელმა განმარტა, რომ შიდა აუდიტის კონტროლის განყოფილება უქმდება და შესაბამისად აუდიტის სამსახურის დებულებაში შედის შემდეგი ცვლილება.

**მუხლი 1.** შევიდეს ცვლილება „ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის „შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29-ნოემბრის N-23 დადგენილებაში.

1. დადგენილების პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5“ სამსახური შედგება სამსახურის სტრუქტურაში შემავალი მეორადი სტრუქტურული განყოფილებისაგან“.

დადგენილების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 8“ .**

**1.** სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფი იქმნება სამსახურის გამგებლობას მიკუთვნებული მოვალეობების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

**2.** სამსახურის სტრუქტურის ქვედანაყოფია:

ა) რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილება;

3. დადგენილების მე-9 მუხლი ამოღებულ იქნას.

4. დადგენილების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 10“** რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილება.

ახორციელებს სამსახურის სტრატეგიული და წლიური გეგმებით გათვალისწინებულ შიდა აუდიტორულ შემოწმებას და სამსახურის უფროსს წარუდგენს შესაბამის ანგარიშს. ახორციელებს წინა აუდიტორული შემოწმების პერიოდში ობიექტისათვის მიცემულ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. უფლებამოსილია განახორციელოს:

ა) მერიის სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესისა და საქმიანობის სფეროს აუდიტორული შემოწმება;

ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შემოწმება;

გ) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება;

დ. მუნიციპალიტეტის მერიის და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ე) მუნიციპალიტეტის მერიის და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

ვ) სხვა საქმიანობები, რომლებიც გამომდინარეობს მუნიციპალიტეტის მერიის და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სპეციფიკიდან, ამ დებულებიდან და არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონს, საქართველოს კანონმდებლობას, მერიის დებულებასა და შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის პრინციპებს.

ზ) რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილების ფუნქცია არის, შიდა აუდიტორული შემოწმება და სამსახურის აუდიტის მიერ შემოწმების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, რომლის მიზანია უზრუნველყოს შემოწმების შედეგად შემუშავებული სამოქმედო გეგმის დროული და შესაბამისი განხორციელების მდგომარეობის კონტროლი.

2. მონიტორინგის განხორციელების პროცესში განყოფილება უფლებამოსილია:

ზ) რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილების ფუნქციაა შიდა აუდიტორული შემოწმება და სამსახურის აუდიტის მიერ შემოწმებების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, რომლის მიზანია უზრუნველყოს შემოწმებების შედეგად შემუშავებული სამოქმედო გეგმის დროული და შესაბამისი განხორციელების მდგომარეობის კონტროლი.

2. მონიტორინგის განხორციელების პროცესში განყოფილება უფლებამოსილია:

ა) აწარმოოს სამსახურის მიერ განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმებების შედეგად გაცემული რეკომენდაციების რეესტრი და მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით პერიოდულად განაახლოს იგი;

ბ) შეიმუშაოს და სამსახურის უფროსს წარუდგინოს წინადადებები მონიტორინგის განხორციელების ვადების, ფორმებისა და მეთოდების შესახებ;

გ) შიდა აუდიტის წლიური გეგმის ფარგლებში და რეკომენდაციების რეესტრის შესაბამისად, რეკომენდაციების პრიორიტეტულობისა და აუდიტის ობიექტთან შეთანხმებული სამოქმედო გეგმის ვადების გათვალისწინებით, განხორციელოს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი;

დ) შეაფასოს რეკომენდაციების საპასუხოდ განხორციელებული იმ ქმედებების ადეკვატურობა, ეფექტიანობა და დროულობა, რომლებიც შიდა აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ იქნა განხორციელებული. რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში გააანალიზოს შედეგები და შეაფასოს დამატებითი რისკები, რაც გამოწვეულია შიდა აუდიტის ობიექტის უმოქმედობით ან არასაკმარისი ძალისხმევით;

ე) მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შეადგინოს და სამსახურის უფროსს წარუდგინოს შესაბამისი ანგარიში;

ვ) განხორციელოს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მონაცემების სტატისტიკური დამუშავება.

3. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის შედეგად, დანაშაულის ნიშნების შემცველი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, განყოფილება შესაბამისი რეაგირების მიზნით, ინფორმაციას წარუდგენს სამსახურის უფროსს.

4. განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის უფროსის დავალებითა და კოორდინაციით მონაწილეობს შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმების, წლიური და სხვა სახის ანგარიშების შემუშავებაში.

5. განყოფილება საქმიანობას ახორციელებს წინამდებარე დებულების, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის, სტანდარტების და საქართველოში მოქმედი სხვა მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი.

7. განყოფილების უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს აუდიტორული შემოწმების და მონიტორინგის პროცესში მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების დაცულობას;

გ) უფლებამოსილია უშუალოდ განახორციელოს განყოფილების კომპეტენციას მიკუთვნებული ფუნქციები;

დ) ანაწილებს დავალებებს განყოფილების საჯარო მოსამსახურეებს შორის;

ე) უზრუნველყოფს სამსახურის უფროსის ცალკეული დავალებების შესრულებას;

ვ) იღებს და აფასებს თანამშრომელთა ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ზ) ამზადებს და სამსახურის უფროსს წარუდგენს ანგარიშებს განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ;

თ) აკონტროლებს განყოფილების საჯარო მოსამსახურეთა მიერ მერიის შინაგანაწესის დაცვას, სამსახურის უფროსს წარუდგენს წინადადებებს საჯარო მოსამსახურეთა დაწინაურების, წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური ზომების გამოყენების შესახებ;

ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. განყოფილების უფროსის არყოფნისას ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან/და გათავისუფლების შემთხვევაში, განყოფილების უფროსის ფუნქციებს მერის გადაწყვეტილების საფუძველზე, ასრულებს განყოფილების ერთ-ერთი უფროსი სპეციალისტი.

9. განყოფილების უფროსი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის წინაშე.”

**მომხსენებელმა ტარიელ აფაქიძემ** აღნიშნა, რომ გაუქმებული განყოფილების ფუნქციები დაემატება რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილებას. ამ განყოფილების გაუქმების ხარჯზე იურიდიულ სამსახურში დაემატება მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი.

საკრებულოს წევრმა **დათო ფურელიანმა** დასვა კითხვა, რომ თუ განყოფილების გაუქმების ხარჯზე ერთი შტატის დამატება არის შესაძლებელი, მაშინ რა იწვევს ამ განყოფილების გაუქმებას.

დასმულ კითხვაზე უპასუხა **სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა**, რომ რეორგანიზაციის დროს ძირითადი ყურადღება გამახვილდა განყოფილებების რიცხოვნობაზე; რადგან მერიაში არის ბევრი განყოფილება, გამომდინარე აქედან ხდება განყოფილების გაუქმება, ხოლო გამოთავისუფლებული შტატის ბაზაზე იურიდიულ სამსახურში დაემატება უფროსი სპეციალისტის შტატი.

**რაფ მნიშვნელოვანია უმუშევარი არავინ დარჩება .**

**დათო ფურელიანი:** რა კრიტერიუმით მოხდება ამ ახალი შტატში თანამშრომლის დანიშვნა?

**ტარიელ აფაქიძე:** ჩატარდება ღია კონკურსი, სადაც ნებისმიერს ექნება მონაწილეობის მიღების უფლება და კონკურსის შედეგების მიხედვით მოხდება მისი დანიშვნაც.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

**ღია კენჭისყრის შედეგით:**

**მომხრე -18;**

**წინააღმდეგი -0.**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს დადგენილების პროექტი -- „**ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ**“ **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 ნოემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

**3. მოისმინეს:** მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა **სოზარ ბენდელიანმა** სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - „**2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, სამშატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ**“ **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 25 დეკემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**“.

**მომხსენებელმა სოზარ ბენდელიანმა** განმარტა , რომ მერიის შიდა აუდიტის სამსახურის

დებულებაში შესული ცვლილების გათვალისწინებით საჭირო გახდა მერიის სამტატო სტრუქტურის ცვლილება.

როგორც მოგვხსენებათ აუდიტის კონტროლის განყოფილება უქმდება და იურიდიულ სამსახურში ემატება მესამე რაზმის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი. სამტატო რიცხოვნობა არ იცვლება, რჩება 69 თანამშრომელი. რეორგანიზაციის მეორე ეტაპის გეგმის შესაბამისად მომზადდა მერიის ახალი სამტატო ნუსხა.

შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

**ღია კენჭისყრის შედეგით:**

**მომხრე -18**

**წინააღმდეგი -0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - „2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაზმების, სამტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 25 დეკემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

**3.მომხსენებელმა დემური ლიპარტელიანმა** აღნიშნა, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კულტურის სახლის არსებული სარდაფის კეთილმოწყობა და სავარჯიშო სივრცეებად გარდაქმნა. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების ჩართულობას სპორტულ აქტივობებში. ამ პროექტის განსახორციელებლად წარმოგიდგენთ შესაბამის საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას. პროექტი ითვალისწინებს სარდაფის ფართის სრულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს უსაფრთხოების ხორმების დაცვით, რაც აუცილებელია სავარჯიშო სივრცის გამართული ფუნქციონირებისათვის.

**სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:**

**მომხრე -18;**

**წინააღმდეგი -0.**

**დაადგინეს:** მოწონებულ იქნას განკარგულების პროექტი შემდეგი სახით „დაბა ლენტეხში კულტურის სახლის სარდაფში სავარჯიშო ოთახების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის მოწყობის თაობაზე“.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დამთავრდა 13 საათზე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

